დანართი N1.2

პროექტი

საქართველოს ორგანული კანონი

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №41, 08.12.2009, მუხ. 300) დაემატოს შემდეგი შინაარსის I^1 თავი:

“თავი I^1. საერთო სასამართლოს აქტების ხელმისაწვდომობა

მუხლი 13^3. ამ თავის მოქმედების სფერო

1. ეს თავი აწესრიგებს ადმიანის პირადი ცხოვრების დაცვის საკითხს სასამართლოს აქტების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისას.

2. ამ თავის მიზნებისთვის სასამართლოს აქტი არის საერთო სასამართლოს მიერ სამართალწარმოების განხორციელების ფარგლებში მიღებული ნებისმიერ აქტი. ამ თავის მიზნებისთვის სასამართლოს აქტად მიიჩნევა მოსამართლის განსხვავებული აზრი.

მუხლი 13^4. სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობა

1. სასამართლოს აქტი ღიაა. ყველას აქვს სასამართლოს აქტის სრული ტექსტის მოთხოვნისა და მიღების უფლება. ამ უფლების შეზღუდვა დასაშვებია ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვეებში და დადგენილი წესით. პერსონალური მონაცემების შემცველი სასამართლოს აქტი შესაძლებელია არ გაიცეს თუ:

ა) აქტი არ არის მიღებული ღია სასამართლოს სხდომის შედეგად;

ბ) პერსონალურ მონაცემთა სუბიექტი არის არასრულწლოვანი;

გ) სასამართლოს აქტის ტექსტი შეიცავს ჯანმრთელობის მდგომარეობასთან, სქესობრივ ცხოვრებასთან, დანაშაული მსხვერპლად აღიარებასთან ან დაზარალებულად ცნობასთან დაკავშირებულ ინფორმაციას;

დ) დაკმაყოფილდა ამ კანონის 13^6 მუხლის შესაბამისად წარმოდგენილი დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული ინფორმაციის გაცემა დასაშვებია, თუ შესაბამისი აქტის მიმართ არსებობს განსაკუთრებული საჯარო ინტერესი, რომელის არსებობას საჯარო ინფორმაციის მომთხოვნი ასაბუთებს.

3. სასამართლო აქტის მისაღებად პირი მიმართავს იმ სასამართლოს, რომელმაც მიიღო ეს სასამართლო აქტი, ან თუ აღნიშნული სასამართლო ლიკვიდირებულია, მის ყოფილ სამოქმედო ტერიტორიაზე მოქმედ სხვა შესაბამის სასამართლოს. სასამართლოს აქტი გაიცემა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის III თავით დადგენილი წესით, თუ ამ თავით სხვა, რამ არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 13[5]. პერსონალურ მონაცემთა გამჟღავნებაზე თანხმობის გამოხატვა

1. ნებისმიერი ფიზიკური პირი უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამ პირის პერსონალური მონაცემების დაცვის მოტივით, სასამართლოს აქტის გაცემაზე უარის თქმა დაუშვებელია. პირი უფლებამოსილია გაითხოვოს ამ პუნქტით გაცხადებული თანხმობა.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებით სარგებლობის წესს ადგენს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მუხლი 13[6]. პერსონალურ მონაცემთა დაცვის დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნა

1. პერსონალურ მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს მისი პერსონალური მონაცემების დაცვა. მოთხოვნა უნდა შეიცავდეს დასაბუთებას შესაბამისი მონაცემების საჯარო ინფორმაციის სახით გაცემით მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრებისთვის მიყენებული ზიანის თაობაზე. მოთხოვნის დაუსაბუთებლობა შესაძლებელია გახდეს მისი დაუკმაყოფილებლობის საფუძველი.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნის გადაწყვეტის ვადაა 1 თვე. მოთხოვნის განმხილველი პირი უფლებამოსილია მიიღოს შესაბამისი სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის დროებითი წესი. ამ პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება საჩივრდება სასამართლოში.
3. სასამართლო უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს აქტის სრულად ან ნაწილობრივ დეპერსონალიზაციის თაობაზე, თუ კონკრეტული გარემოებები ცხადყოფს, რომ პერსონალურ მონაცემთა სუბიექტის პირადი ცხოვრების დაცვის ინტერესი აღემატება მართლმსაჯულების გამჭვირვალობის მომეტებულ კონსტიტუციურ ინტერესს.

მუხლი 13[7]. პერსონალურ მონაცემთა დაცვა 2022 წლის 1 იანვრამდე მიღებულ აქტებში

1. 2022 წლის პირველ ივლისამდე ნებისმიერი ფიზიკური პირი უფლებამოსილია დასაბუთებული წერილობითი მოთხოვნით მიმართოს საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს ან შესაბამის სასამართლოს და მოითხოვოს 2022 წლის პირველ

იანვრამდე მიღებულ სასამართლოს აქტებში საკუთარი პერსონალური საჯარო ინფორმაციის სახით გაცემისგან დაცვა. მოთხოვნა უნდა აკმაყოფილებდეს ამ კანონის 13^6 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პირობებს.

2. ამ მუხლის საფუძველზე შეტანილ წერილობით მოთხოვნებს სასამართლო წყვეტს 2023 წლის პირველ მაისამდე 13^6 მუხლის შესაბამისად.

3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ვადის ამოწურვამდე, ასევე ამავე პუნქტით გათვალისწინებული რეგისტრირებული წერილობითი მოთხოვნის გადაწყვეტამდე, შესაბამისი სასამართლოს აქტის ხელმისაწვდომობის საკითხი წყდება 13^4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 2.

1. 2022 წლის 1 იანვრამდე საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ მიიღოს ამ კანონით გათვალისწინებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული სათანადო სამართლებრივი აქტები და განახორციელოს სხვა საჭირო ღონისძიებები.

2. 2022 წლის 1 ივლისამდე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უზრუნველყოფს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 13^5 და 13^6 მუხლებით გათვალისწინებულ მოთხოვნათა აღრიცხვის ციფრული რეესტრი შექმნა, განსაზღვროს მისი გამოყენების და მასში, რეესტრის შექმნამდე დამუშავებული ინფორმაციის შეტანის წესი.

მუხლი 3

1. ეს კანონი, გარდა ამ კანონის პირველი მუხლისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის პირველი მუხლი ამოქმედდეს 2022 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი